

Georgian Petroleum LLC

მმართველობის და ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

1.	დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	3
2.	მმართველობის ანგარიშგება	5
3.	მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
4.	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
5.	კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	9
6.	ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10

განმარტებითი შენიშვნები

1.	კორპორაციული ინფორმაცია	14
2.	მომზადების საფუძველი	14
3.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	15
4.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	24
5.	შემოსავალი	25
6.	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	25
7.	ხელფასები და სხვა სარგებელი	25
8.	გაყიდვისა და დისტრიბუციის დანახარჯები	26
9.	ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები გარდა ხელფასისა და ხელფასთან გათანაბრებული განაცემებისა	26
10.	ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი	27
11.	სავალუტო ოპერაციების განხორციელებით და მათი გადაფასებით მიღებული შედეგები	27
12.	ფული და ფულის ექვივალენტები	27
13.	კაპიტალი	27
14.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28
15.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28
16.	სასესხო ვალდებულებები	28
17.	ბიუჯეტში გადახდილი/გადასახდელი გადასახადები	29
18.	სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	29
19.	პირობითი ვალდებულებები	29
20.	ძირითადი საშუალებები	31
21.	ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მენეჯმენტი	32
22.	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	33
23.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	33

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილის - საქმიანობის მიმოხილვის ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჩვენი აუდიტის საფუძველზე შემდეგ ფინანსურ უწყისებზე:

წინასწარი სპეციალური დანიშნულების 2017 წლის მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება;

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება ფინანსურ მდგომარეობაზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება კაპიტალის მოძრაობაზე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის;

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობაზე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის;

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენ ვატარებთ აუდიტს, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. სტანდარტები მოითხოვს ჩვენგან ეთიკურ ქცევას დაგეგმვისა და აუდიტის შესრულების მომენტში, რათა გამოვთქვათ სანდო მოსაზრება იმის შესახებ, არის თუ არა მატერიალური შეცდომები ფინანსურ უწყისებში.

აუდიტი მოიცავს პროცედურებს, რომლებიც ემსახურება აუდიტორული მტკიცებულების მოძიებას ფინანსურ უწყისებსა და განმარტებით შენიშვნებში. პროცედურების განხორციელება დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე აღმოაჩინოს ფაქტობრივი რისკები ფინანსურ უწყისებში, იქნება ეს შეცდომა თუ თაღლითობა. რისკების შეფასების პროცესში, აუდიტორი განიხილავს შიდა კონტროლის არსებობას ფინანსური უწყისების მომზადების პროცესში და ამის შემდეგ გეგმავს პროცედურებს ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებზე მოსაზრების გამოსათქმელად, და არა შიდა კონტროლის შესაფასებლად. აუდიტორი ასევე აფასებს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობასა და მენეჯმენტის საბუღალტრო შეფასების გონივრულობას, ბოლოს კი აფასებს ფინანსური უწყისების წარდგენის წესს.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაბამისია, აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, არსებითი ასპექტების გათვალისწინებით. ამასთან, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდისთვის (2017 წელი) და არ გამოვთქვამთ მოსაზრებას სხვა პერიოდებთან მიმართებაში, მათ შორის არც 2016 წელზე.

მნიშვნელოვანი გარემოებები

კომპანიის ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგები და განმარტებითი შენიშვნები მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული წლიური ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნის შესაბამისად და წარმოადგენს სპეციალური დანიშნულებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელზეც დამატებითი განმარტებები გაკეთებულია მომზადების საფუძვლის შესახებ, მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

მენეჯმენტისა და მეწილეებისთვის:

ჩვენ ჩავუტარეთ აუდიტი კომპანიის ფინანსურ უწყისებს, რომლებიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის: მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ანგარიშგების მიმართ:

მენეჯმენტი ვალდებულია, მოამზადოს და წარადგინოს ფინანსური უწყისები, ფასს-თან შესაბამისობაში. მენეჯმენტი ვალდებულია შეიმუშავოს, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლები, რომლებიც ახდენენ შეცდომებისა და თაღლითობის თავიდან არიდებასა და აღმოჩენას.

27 სექტემბერი, 2018

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)
ეკა რუხაძე (რეგ.SARAS-A-872602)

ATAfinancial
Audit

www.atapartners.ge

+995 032 243 22 81
office@atapartners.ge
11 St Afakidze , 0171, Tbilisi, Georgia



ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით გასაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, არსებითი ასპექტების გათვალისწინებით.ამასთან, გამიოთქვამბ მოსარგებს, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქონლის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

მენუჯმენტისა და მეწილეებისთვის:

ჩვენ ჩავუტარეთ აუდიტი კომპანიის ფინანსურ უწყისებს, რომლებშიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის: მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ანგარიშგების მიმართ:

მენეჯმენტი ვალდებულია, მოამზადოს და წარადგინოს ფინანსური უწყისები, ფასს-თან შესაბამისობაში. მენეჯმენტი ვალდებულია შეიმუშავოს, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლები, რომლებიც ახდენენ შეცდომებისა და თაღლითობის თავიდან არიდებასა და აღმოჩენას.

27 სექტემბერი, 2018

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“ ს.პ.ს. (რეგ. #SARAS-F-344896)
გვარამია (რეგ. SARAS-A-872602)



Financial Audit

www.atapartners.ge

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

„ჯორჯიან პეტროლიუმი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც „კომპანია“ კონტექსტის შესაბამისად), რომელიც დაარსებულია საქართველოში, 2001 წლის 1 ივნისს. კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ავია საწვავის ბორტზე მიწოდება, რომელიც დღეისათვის საქართველოს ბაზრის ამ კონკრეტულ სეგმენტზე დაახლოებით 60%-იანი წილით პოზიციონირებს.

კომპანიის ნავთობ-ტერმინალები განთავსებულია თბილისისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე. ტერმინალის ტერიტორიაზე განთავსებულია საავიაციო ნავთობპროდუქტების და სპეციალიზირების სარეზერვო საცავები, სატუმბო სადგური, საფილტრაციო სისტემა, გამწვობი-გასამართი პუნქტი, ტექნოლოგიური მილსადენები, საწვავ-გამმართველების და სხვა სპეციალტრანსპორტის სადგომი, ხანძარსაწინააღმდეგო და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის საშუალებები, აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორია, ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შენობები. კომპანიას საკუთრებაში გააჩნია საკუთარი ავტო პარკი საჰაერო ხომალდების საწვავით გამართვისათვის. კომპანიის ნავთობ ტერმინალს აქვს საკუთარი სარკინიგზო ჩიხი, რომელიც უზრუნველყოფს ნავთობპროდუქტების მიღებას ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, სწორედ ზემოაღნიშნული სპეც.აღჭურვილობა და ნავთობ ტერმინალის უშუალოდ აეროპორტის ტერიტორიაზე განთავსება ანიჭებს კომპანიას უპირატესობას სხვა კონკურენტებთან მიმართებაში და წარმოადგენს მის ძლიერ მხარეს ბიზნესში.

კომპანიის ძირითად კონკურენტებს წარმოადგენენ შპს ეარ ვისოლი, რომელიც ქართული კომპანიაა და შპს ჯორჯიან ეარ სერვისი. თუმცა, როგორც მენეჯმენტი აღნიშნავს, ბაზრის მოთამაშეებს შორის არსებობს ჯანსაღი კონკურენციული გარემო, რომელსაც ასევე ადასტურებს ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ბაზრის ამ სეგმენტის კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნაც.

კონკურენტები ზოგიერთ შემთხვევებში აგენტურულ მომსახურებას უწევენ ერთმანეთს საქართველოს აეროპორტების (ქუთაისი, ბათუმი) ტერიტორიაზე, სადაც კომპანიებს არ აქვთ საკუთარი ნავთობმიწოდებელი ტერმინალები.

კომპანიას საკუთარი ნავთობტერმინალი აქვს თბილისის და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, ხოლო ბათუმის აეროპორტში აგენტურულ მომსახურებას (კომპანიის სახელით და მისი დავალებით ავია საწვავს უსხამს შპს ჯორჯიან პეტროლიუმის დამკვეთებს) უწევს შპს ეარ ვისოლი. აღნიშნულის პარალელურად, აგენტურული მომსახურების გაწევიდან შემოსავალს კომპანია შპს ეარ ვისოლიდან იღებს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში.

კომპანიის ძირითადი მომწოდებლები არიან აზერბაიჯანისა და თურქმენეთის ნავთობგადამამუშავებელი უმსხვილესი კომპანიები, რომელთან ურთიერთობაც უზრუნველყოფს „ჯორჯიან პეტროლიუმის“ შეუფერხებელ მუშაობის პროცესს. კომპანიის ძირითად მომწოდებლებს წარმოადგენენ: MADDOX DMCC და SOCAR.

კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს საავიაციო სფეროში მოღვაწე მრავალ მსხვილ კომპანიასთან და გაერთიანებასთან, რომელთა მეშვეობითაც მუდმივად ხდება ნავთობტერმინალის სპეც დანიშნულების აუდიტი და მის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა ავიაკომპანიისათვის.

კომპანიის ძირითადი სტრატეგიაა საბაზრო წილის მუდმივი ზრდა მომსახურების ხარისხის შენარჩუნების პარალელურად. კომპანიაში მენეჯმენტი ადგენს ყოველწლიურ დაგეგმილ ბიუჯეტს, რომელსაც ადარებს წლის დასრულების საბოლოო შედეგებს. ამ შედეგების გათვალისწინებით ისახება კომპანიის მომავალი სამოქმედო გეგმა.

კომპანიის რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოადგენს მომწოდებლებისგან შეძენილი საქონლის ღირებულებას. იმის გამო, რომ კომპანია დამოუკიდებელია კლიენტებთან ურთიერთობისას და თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს გაყიდვის პირობებთან დაკავშირებით, წარმოადგენს დამოუკიდებლად მოვაჭრე პირს ბაზარზე.

კომპანია არის ფინანსურად სტაბილური. გაყიდვების რაოდენობის ზრდა კომპანიაში რეალურ მაჩვენებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელიც არ არის მიბმული სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეულ გაზრდილ შემოსავალზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველად კომპანიის მენეჯმენტს მოყავს არგუმენტი, რომ ყოველი მოწოდებული რაოდენობის ფასი დაჰეჯირებული და დაზღვეულია საერთაშორისო სადაზღვევო ორგანიზაციებში. შესაბამისად, ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული გავლენა კომპანიისთვის არსებითად მაღალი რისკის მატარებელ ფაქტორად მენეჯმენტის შეფასებით არ მიიჩნევა.

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	2017
შემოსავალი	5	70,982
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(61,290)
ამორტიზაციის ხარჯი	6	(327)
საერთო მოგება		9,365
სხვა საოპერაციო შემოსავალი		92
გაყიდვის და დისტრიბუციის დანახარჯები	8	(594)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7; 9	(2,236)
საოპერაციო მოგება		6,627
ფინანსური შემოსავლები	10	1
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	11	(303)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		48
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	10	(679)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		5,694
მოგების გადასახადი	17	(19)
წმინდა მოგება/ზარალი		5,675

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2018 წლის 27 სექტემბერს.

სახელი გვარი
გენერალური დირექტორი

სახელი გვარი
ფინანსური დირექტორი

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	2017
შემოსავალი	5	70,982
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(61,290)
ამორტიზაციის ხარჯი	6	(327)
საერთო მოგება		9,365
სხვა საოპერაციო შემოსავალი		92
გაყიდვის და დისტრიბუციის დანახარჯები	8	(594)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7; 9	(2,236)
საოპერაციო მოგება		6,627
ფინანსური შემოსავლები	10	1
წმინდა მოგება/ზარალი საგადასახადო ოპერაციებიდან	11	(303)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		48
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	10	(679)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		5,694
მოგების გადასახადი	17	(19)
წმინდა მოგება/ზარალი		5,675

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2018 წლის 27 სექტემბერს.

სახელი გვარი
გენერალური დირექტორი




სახელი გვარი
ფინანსური დირექტორი



13-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გადავადებული საგადასახადო აქტივი		5	5
ძირითადი საშუალებები (წმინდა)	20	3,868	3,252
არამატერიალური აქტივები (წმინდა)		10	10
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,883	3,267
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	18	10,208	3,977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	8,565	5,117
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12	181	61
სულ მიმდინარე აქტივები		18,954	9,155
სულ აქტივები		22,837	12,422
დამფუძნებელთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	2	2
გადაფასების რეზერვი		0	288
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		5,675	4,111
გაუნაწილებელი მოგება	23	6,291	1,893
დამფუძნებელთა კაპიტალი		11,968	6,294
გრძელვადიანი ვალდებულებები			
		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
		0	0
მიმდინარე ვალდებულებები			
გადასახდელი საგადასახადო ვალდებულებები	17	(173)	388
მოკლევადიანი სესხები	16	4,159	4,658
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	6,883	1,082
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,869	6,128
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		22,837	12,422

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	ნაშთი 2017 წლის 1 იანვრი	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი
საწესდებო კაპიტალი	2	2
წინა წლების დაგროვილი მოგება	1,893	6,291
მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალი	4,111	5,675
გადაფასების რეზერვი	288	0
სულ კაპიტალი	6,294	11,968

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფულადი სახსრების ნაშთი 01.01.2017

61

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

მიღებული ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

ფულადი სახსრები დებიტორული დავალიანების დაფარვიდან	70 617
სხვა ფულადი სახსრების დაბრუნება	2
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების დაბრუნება	0
	70 619

გაცემული ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის

გადახდილი ხელფასები	844
საქვეანგარიშოდ თანხების გაცემა	85
ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	48
სხვა ფულადი სახსრები	2
სადაზღვევო ხარჯები	338
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები - სხვა	2 717
რეზერვუარების იჯარის საფასური	6
ტრანსპორტირების ხარჯები	773
ნავთობბაზის იჯარის ხარჯები	90
იჯარის ხარჯები	752
სამეურნეო ხარჯებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	2
მომსახურებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	10
კომუნიკაციის ხარჯები	17
კომუნალური ხარჯები	41
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები სასაქონლო-მარაგების შესაძენად	58 195
გადახდილი ავანსები	120
საწევრო გადასახდელები	6
ლაბორატორიის ხარჯები	8
აგენტურული მომსახურების ხარჯები	3 781
წარმომადგენლობითი ხარჯები	7
	67 842

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

2 777

ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

მიღებული ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

ფულადი სახსრები ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	24
--	----

გაცემული ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობისთვის

მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების შესაძენად	31
გადახდილი ავანსები ძირითადი საშუალებების შესაძენად	949

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	980
<i>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	<i>(956)</i>
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
მიღებული ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
მიღებული პროცენტები სადეპოზიტო თანხებიდან	1
მიღებული სესხები	44 447
	44 448
გაცემული ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობისთვის	
გადახდილი სესხები	44 979
გადახდილი პროცენტები	338
გადახდილი გადასახადები	754
საკუროს სხვაობა	33
საბაჟოზე გადახდილი გადასახადები	45
	46 149
<i>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</i>	<i>(1 701)</i>
<i>ფულადი სახსრების ნაშთი 31.12.2017</i>	181
<i>ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის და ფულადი ექვივალენტების</i>	<i>(120)</i>

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2001 წლის 1 ივნისს. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, აეროპორტი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში შედიოდნენ:

- ირაკლი იაშვილი (პ/ნ 01008000365)
- როვშან მამმადოვი, აზერბაიჯანი (P3436053)
- გიორგი ჯაფარიძე (პ/ნ 01012011744)

კომპანიის დირექტორია ბატონი ნოდარ კვირიკაშვილი.

2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით კომპანიის წილის მფლობელები იყვნენ:

- 53278, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აკერტ გრუპ ეს.ეი., სეიშელის კუნძულები - 50%;
- 1699766, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გეიტლაინ პროექტს ლიმიტედ (GATELINE PROJECTS LIMITED), ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.), 07.03.2012 - 25%;
- 404948447, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფრენფილდ ჯორჯია, საქართველო - 25%.

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა კომპანიის მიერ ფასს-ის შესაბამისად, ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების“ დანერგვის ხელშეწყობის მიზნებისთვის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

ფასს 1 სტანდარტის მიხედვით, კომპანია პირველი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მინიმუმ ორი საანგარიშგებო პერიოდისთვის ამზადებს შემდეგ ანგარიშგებებს: მოგება-ზარალის ანგარიშგება, ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგება და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება, ასევე, მინიმუმ სამი საანგარიშგებო პერიოდისთვის - საბალანსო ანგარიშგებას, შესაბამისად მზადდება განმარტებითი შენიშვნებიც. თუმცა, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მიხედვით კომპანიას აქვს უფლება გამოსცეს მხოლოდ საანგარიშგებო წლის პერიოდის (ამ შემთხვევაში 2017 წელი) მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებები და ორი პერიოდის საბალანსო ანგარიშგება (ამ შემთხვევაში 2017 წლის საწყისი და საბოლოო პერიოდები).

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად, კომპანიისთვის ფასს-ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის“ მიხედვით დანიშნულებისამებრ წარსადგენად. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს შედარებით ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდებისათვის.

ფინანსური უწყისები მომზადებულია ისტორიული ფასების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათას ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

13-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

ლარი არის შპს ჯორჯიან პეტროლიუმის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები აღირიცხება, ამ ტრანზაქციის განხორციელების დღეს არსებული კურსით რომლისთვისაც გამოიყენება ეროვნული ბანკის ან საქართველოს ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი, არჩევანი ამ უკნასკნელ ორ წყაროს შორის განისაზღვრება კონტრაქტით.

მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაფასდება ანგარიშგების მომზადების თარიღის მიხედვით. სხვაობა მიდის მოგებაში ან ზარალში.

არა მონეტარული ანგარიშები შეფასდება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული კურსის მიხედვით.

3.2 კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები და ვალდებულებები.

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3.3 ფინანსური ინსტრუმენტები

3.3.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

აღიარების თარიღი

როგორც წესი, ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია გაყიდის ან შეისყიდის აქტივს. ჩვეულებრივ, ფინანსური აქტივების შესყიდვა და გაყიდვა ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით თუ საბაზრო პირობებით რეგულირებად პერიოდში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადი და რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე. ისინი არ კლასიფიცირდება სავაჭრო ფასიან ქაღალდებად, არ განისაზღვრება, როგორც გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები და არ გამოიყენება მოკლე პერიოდში გაყიდვის მიზნით. ასეთი აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს გათვლა მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის განხორციელებულ ყველა გადახდილ და მიღებულ საკომისიოს, რომლებიც წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯების და ყველა სხვა საპრემიო შენატანის თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს. ამორტიზებული ღირებულებით წარმოდგენილი ინვესტიციებისათვის მიღებული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როცა ინვესტიციები გაუფასურებულია ან ამორტიზაციას განიცდის. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერისას, გაუფასურებისას, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც განსაზღვრულია გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებისა და ზარალის ცალკეულ კომპონენტად აღიარებით სხვა სრულ შემოსავალში, ინვესტიციის ჩამოწერამდე თუ გაუფასურებამდე, როდესაც სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხული ჯამური მოგება თუ ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით.

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- ▶ თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე. ი. 1 დონის მონაცემი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ კომპანია აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც მოგებას ან ზარალს.
- ▶ ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება.

გაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა, მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

3.3.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, ხოლო სესხებისა და ვალდებულების შემთხვევაში გარიგების ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით, ფინანსური გარანტიის კონტრაქტებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

13-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით მოიცავს გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ ვალდებულებებს და თავდაპირველად რეალური ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით მოიცავს გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ ვალდებულებებს და თავდაპირველად რეალური ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებები სავაჭროდ განკუთვნილია თუ ისინი შეძენილია მოკლე ვადაში გაყიდვის მიზნით. ეს კატეგორია მოიცავს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც შექმნილი არ არიან ბასს 39-ის მიხედვით განსაზღვრული ჰეჯირებისას როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები. განცალკევებული კონტრაქტში ჩართული ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირდება სავაჭროდ განკუთვნილად მანამ სანამ ისინი არ დააკმაყოფილებენ ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტების პირობას. გასაყიდად გამიზნული ვალდებულებებიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგების ან ზარალის უწყისში.

თავდაპირველად რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასე ფასდება თავდაპირველი აღიარებისას თუ დაკმაყოფილებულია ბასს 39-ის პირობები. კომპანია არ აფასებს ფინანსურ ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

3.4 ძირითადი საშუალებები

მიმდინარე მშენებლობები, ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ისტორიული ღირებულება მოიცავს ძირითად გრძელვადიანი კონსტრუქციების პროექტების ღირებულებას, თუ ასეთი ღირებულება ზრდის აქტივის სასიცოცხლო ვადას და თუ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს ფასს-ის თანახმად.

3.4.1 აღიარება და შეფასება

კომპანია ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს პროპორციულად სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. ასევე, როდესაც ხორციელდება კაპიტალური დანახარჯი, იგი აღიარებულია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. თუ კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში. მოსალოდნელი ხარჯის მიმდინარე ღირებულება აქტივის გაუქმებისას, შედის შესაბამისი აქტივის ღირებულებაში, თუ კრიტერიუმები აღიარებისათვის დაკმაყოფილდა.

მიწა და შენობა აღიარდება ისტორიული ღირებულებით, და შესაბამისი დაგროვილი ცვეთით შენობებზე. ძირითადი საშუალებების ამოღება ხდება გაყიდვიდან ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებელი არაა მოსალოდნელი მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან. ნებისმიერი შემოსავალი ან ხარჯი რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) ხდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით.

13-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3.4.2 ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები

თუ ძირითად საშუალებაზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს ამ საშუალებისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

3.4.3 ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

შენობა	15-50 წლამდე
მანქანა-დანადგარები	2-10 წლამდე
მანქანები	2-10 წლამდე
ოფისის აღჭურვილობა	2-10 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10 წლამდე
სხვა	3-25 წლამდე

ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადა და ძირითადი საშუალებების ცვეთის მეთოდი განხილულია IAS16.51-ში ყოველ საანგარიშგებო წლისთვის და დადგენილია სამომავლოდ, თუ შესაძლებელია იგივე პირობების გამოყენება.

3.5 არამატერიალური აქტივები

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები მიმდინარე და შედარებითი პერიოდის განმავლობაში ასეთია:

სხვა არამატერიალური აქტივები	3-10 წლამდე
------------------------------	-------------

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას, კომპანიის ლოგოს, საქმიანობის ლიცენზიას/ნებართვას, კორპორატიულ ვებ-გვერდს. ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების 3-10 წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება ყოველ სამ წელში ერთხელ.

3.6 იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარის ვადის დასაწყისისათვის ფინანსური იჯარა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება როგორც აქტივი და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომლებიც გაანგარიშებულია იჯარის დასაწყისში.

13-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიცა და ანაზღაურებაც არის მოიჯარის ხელში, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი გრძელვადიან პერიოდში და შესულია ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებში.

3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიას სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღრიცხული აქვს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, როგორც ეს განსაზღვრულია შესაბამისი ფასს-ით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვისა და ჩამოწერისთვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.8 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები შემდეგ შენიშვნებშია მოცემული:

- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები
- შეფასებები და ვარაუდები
- ძირითადი საშუალებები

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც მოთხოვნილია ყოველწლიური ტესტირება აქტივის გაუფასურებაზე, საწარმო ვალდებულია შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი ვერ წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებაც მნიშვნელოვნად დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას, ითვლება რომ აქტივი გაუფასურდა და ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე.

აქტივის გამოყენების ღირებულების დადგენისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადები დადისკონტირებულია განაკვეთით, რომელიც არ მოიცავს გადასახადებს, მაგრამ ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივთან დაკავშირებულ რისკებს. რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების განსაზღვრისთვის გასათვალისწინებელია მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციები. თუ ასეთი ტრანზაქციები ვერ იდენტიფიცირდება, შესაფერისი შეფასებითი მოდელი უნდა გამოიყენოს საწარმომ. ამ გამოთვლების სისწორე უნდა დადასტურდეს შეფასების სისტემის ჯაჭვით, საჯაროდ მოვაჭრე შვილობილი კომპანიების კოტირებული აქციის ფასებით ან სხვა რეალური ღირებულების განმსაზღვრელი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურების გაანგარიშებას განსაზღვრავს დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირების მიხედვით, რომელიც მზადდება განცალკევებით თითოეული ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ინდივიდუალური აქტივი მიეკუთვნება. ბიუჯეტი და პროგნოზირება მოიცავს ხუთ წელს. გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი გაანგარიშებულია და გამოყენებულია ხუთი წლის შემდეგ მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის. მიმდინარე ოპერაციების გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ ხარჯის კატეგორიაში, რომელიც ასახავს გაუფასურებული აქტივის ფუნქციას, გარდა ქონების, რომელიც წინა პერიოდში გადაფასდა და გადაფასება აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში. ამ შემთხვევაში, გაუფასურება აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში წინა პერიოდის გადაფასების ოდენობით.

3.9 შემოსავალი

შემოსავლები აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ კომპანიას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა. შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;

13-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა:

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება დაითვალოს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს;
- ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.10 გადასახადები

3.10.1 მოგების გადასახადი

მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთები და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კანონმდებლობით გათვალისწინებული რეინვესტირებული მოგების გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენს, თუმცა განაწილებისას გადასახდელი გადასახადი 15%-ის ტოლია.

3.10.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლები, ხარჯები და აქტივები აღიარდება დღე-ს გარეშე წმინდა ღირებულებით, გარდა:

- იმ შემთხვევისა, როდესაც ქონების ან მომსახურების შეძენისას გაწეული გაყიდვების გადასახადი არ არის ამოღებული საგადასახადო ორგანოდან, ამ შემთხვევაში, გაყიდვების გადასახადი აღიარებულია აქტივის შეძენის ღირებულების ან ხარჯების ნაწილად.
- ვალდებულებები და მოთხოვნები მოიცავს დამატებულ ღირებულების გადასახადს.

დამატებული ღირებულების გადასახადის თანხები, რომლებიც მისაღებია ან გადასახდელია საგადასახადო ორგანოსთვის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება როგორც ვალდებულება ან მოთხოვნა.

3.11 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისაგან.

3.12 ახალი სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ ფინანსური 13-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ანგარიშგების მომზადებისას, ზემოთ აღნიშნულიდან სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების ასახვას მისი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 9

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“- საბოლოო ვერსია, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს (IAS) 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს (IFRS) 9 ყველა წინა ვერსია. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით. 2017 წლის ივლისში გამოქვეყნებული ფასს 9 ჩაანაცვლებს არსებულ მეთოდურ მითითებებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფასს 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების გასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-იდან მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ადრეული დანერგვა დაშვებულია. 2018 წელს კომპანია შეაფასებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 9-ის პოტენციურ გავლენას.

ფასს 15

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო ხელშეკრულებები და ფასს 13 კლიენტების ლოიალურობის პროგრამები. ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ ორგანიზაცია აღიარებს შემოსავალს, რათა ასახოს დანაპირები საქონლის ან კლიენტებისთვის მომსახურების გადაცემა იმ თანხით, რომელსაც ორგანიზაცია მოელის საქონლისა ან მომსახურების გაცვიდან. ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ახსნა-განმარტებებს შემოსავლის შესახებ, მოიცავს მეთოდურ მითითებებს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც ადრე არ იყო განხილული სრულად და ასევე ხდება გაუმჯობესება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებიც მოიცავენ მრავალ ელემენტს. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. მისი დროზე ადრე დანერგვა ნებადართულია. 2018 წელს კომპანია შეაფასებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 9-ის პოტენციურ გავლენას.

ფასს 16

ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), IFRIC 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), SIC 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და SIC 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორ სააღრიცხვო პრინციპს, რომლებიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. მეიჯარის აღრიცხვა არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. მეიჯარეები განაგრძობენ ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15-იც (შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან).

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტირებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდებში.

4.1 სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო თუ პრაქტიკიდან გამომდინარე აქვს მიმდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელი უნდა იყოს ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

4.2 სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი სამხილი გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი.

კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ 315 ლარის ოდენობის გაუფასურების რეზერვი არის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების საუკეთესო შეფასება. რეზერვის შესაქმნელად კომპანია იყენებს ვადაგადაცილებულ დღეებს. 2017 წელს 120 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მოთხოვნები კომპანიამ 60% ით დაარეზერვა.

4.3 ძირითადი საშუალებების შეფასება

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება ეფუძნება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილების შესაბამისად. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ ცვთას და იმ გარემოს, სადაც აქტივის გამოყენება ხდება.

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. შემოსავალი

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ავიასაწვავის ბორტზე მიწოდება	70,661
ავიასაწვავის მიწოდება ბორტს გარეთ	321
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	92
სულ შემოსავალი	71,074

შპს ჯორჯიან პეტროლიუმის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავია-საწვავის ბორტზე მიწოდება. გარდა აღნიშნულისა, 2017 წლის განმავლობაში კომპანიას მიღებული აქვს სხვა დამატებითი შემოსავლები აგენტურული საქმიანობის გაწევიდან და ავიასაწვავის მიწოდებიდან ბორტს-გარეთ 92 ლარის ოდენობით.

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(61 290)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(327)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(61 617)

კომპანიის საადრიცხო პოლიტიკის მიხედვით, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანილია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი, ვინაიდან ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებების უმთავრესი ნაწილი გამოყენებულია ავიასაწვავის შენახვა-დასაწყობება-რეალიზაციისთვის.

7. ხელფასები და სხვა სარგებელი

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ხელფასები და სხვა სარგებელი	(1 042)
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	(1 042)

2017 წლის განმავლობაში კომპანიას საშუალოდ დასაქმებული ყავდა 50 (ორმოცდაათი) თანამშრომელი.

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. გაყიდვისა და დისტრიბუციის დანახარჯები

2017 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

ტექნიკურ-საკონსულტაციო დანახარჯები	(12)
რეკლამის ხარჯები	(18)
მოსაკრებელი გადაზიდულ საწვავზე	(404)
ტრანსპორტირებისა და შენახვის დანახარჯები	(156)
მიწოდების და სხვა დანახარჯები	(4)
სულ გაყიდვისა და დისტრიბუციის დანახარჯები	(594)

რეკლამის დანახარჯები მოიცავს შპს კონცეპტისგან შეძენილ 13 ლარის ღირებულების კომპანიის
საპრეზენტაციო ანიმაციის დამზადების მომსახურებას.

**9. ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები გარდა ხელფასისა და ხელფასთან გათანაბრებული
განაცემებისა**

2017 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

ქონების გადასახადი	(36)
საიჯარო დანახარჯები (ე)	(266)
ოფისის ხარჯები	(29)
კომუნიკაციის ხარჯები	(15)
დასუფთავების ხარჯები	(38)
დაზღვევის ხარჯები (დ)	(406)
საბანკო ხარჯები	(2)
შიდა მოხმარების საწვავის ხარჯები	(67)
შეკეთებისა და რემონტის ხარჯები	(48)
აუდიტის და საკონსულტაციო ხარჯები	(15)
მივლინების ხარჯები (გ)	(48)
წარმომადგენლობითი ხარჯები (ზ)	(28)
სხვა დანახარჯები (ა)	(173)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(23)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 194)

(ა) სხვა დანახარჯები მოიცავს მიწვეული სტუმრების გამგზავრების ხარჯებს 39 ლარის ოდენობით.

(ზ) წარმომადგენლობით ხარჯებში შედის პარტნიორი კომპანიებისთვის გაგზავნილი საახალწლო საჩუქრები
19 ლარის ოდენობით.

(გ) მივლინების ხარჯები მოიცავს ნოდარ კვირიკაშვილის, გიორგი ანდლულაძისა და ვახტანგ ხაბურზანიას
მივლინების ხარჯებს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისთვის 47 ლარის ოდენობით.

(დ) დაზღვევის ხარჯები მოიცავს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯებს, ფინანსური რისკების
(იგივე საბაჟო გარანტიის), მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის (ანუ კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან
გამომდინარე მესამე პირებისთვის შესაძლო მიყენებული ზიანის დაზღვევა) და შეძენილი საწვავის ფასის
დაზღვევის ხარჯებს.

13-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(ე) იჯარის დანახარჯები მოიცავს ავია-საწვავის შესანახად განკუთვნილი ავზების იჯარას, სარკინიგზო ჩიხის იჯარას, მიწის აღნაგობისა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე განთავსებული უძრავი ქონების იჯარის დანახარჯებს.

10. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშში გაერთიანებულია საბანკო სესხის საპროცენტო ხარჯები 338 ლარის ოდენობით. ხოლო ფინანსური შემოსავლები მოიცავს 1 ლარს ბანკის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხებიდან.

11. სავალუტო ოპერაციების განხორციელებით და მათი გადაფასებით მიღებული შედეგები

2017 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	(33)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(5)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(233)
მოკლევადიანი სესხები	(32)
სულ გადაფასების შედეგი წმინდა	(303)

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
ფული ბანკში	181	61
	181	61

2017 წლის განმავლობაში კომპანიას გახსნილი აქვს მიმდინარე ანგარიშები სს თიბისი ბანკში. 2017 წლის 1-3 თვეების განმავლობაში ლარისა და აშშ დოლარის მიმდინარე ანგარიშებზე შპს ჯორჯიან პეტროლიუმს ერიცხებოდა საპროცენტო შემოსავლები ანგარიშებზე განთავსებული თანხის შესაბამისად, რამაც ჯამურად შეადგინა 1 ლარი.

კალენდარული თვის ბოლოს, ყოველი საოპერაციო დღის დასრულებისას, ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ერიცხებოდა პროცენტი, ლარის ანგარიშისთვის წლიური 4%, ხოლო დოლარის ანგარიშისთვის წლიური 1%. საოპერაციო დღის დასრულების მომენტს განსაზღვრავს ბანკი.

13. კაპიტალი

13.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია კომპანიის დაარსების დროს შედგენილი წესდების მიხედვით და შეადგენს 2000 ლარს (აღნიშნული მაჩვენებელი მითითებულია ერთეულ ლარში).

13.2 დივიდენდები

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და პარტნიორებს შორის განაწილების წესს.

13-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

პარტნიორთა კრების შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე დასაშვებია პარტნიორთა შორის
დივიდენდების განაწილება მოხდეს მათი წილების ოდენობისაგან განსხვავებული პროპორციით.

2017 წლის განმავლობაში კომპანიას დივიდენდები არ გაუცია.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები	7 947	4 722
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები	-	6
გადახდილი ავანსები	618	379
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	10
სულ სავაჭრო მოთხოვნები	8 565	5 117

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს უპროცენტო ვალებს. კომპანიის პრაქტიკის მიხედვით 120 დღე და მეტი
პერიოდის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება საჭიროებს რეზერვის შექმნას 60%-ის
ოდენობით, ხოლო იმ დებიტორებისთვის, რომელთა მიერ დებიტორული დავალიანების ვადაგადაცილება
აჭარბებს 180 დღეს - 100%-ის ოდენობით.

იხ. დანართი #1

	ვადაგადაცილების პერიოდი	
	>120 დღე	>180 დღე
სულ დასარეზერვებელი	(315)	(255)

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
სავაჭრო ვალდებულებები	(6 656)	(935)
გადასახდელი ხელფასები	-	(33)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(227)	(114)
სულ ვალდებულებები	(6 883)	(1 082)

16. სასესხო ვალდებულებები

	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
ადებული სესხი (ა)	(4 159)	(4 658)
დარიცხული გადასახდელი პროცენტი (ბ)	0	0
სულ სასესხო ვალდებულებები	(4 159)	(4 658)

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

- (ა-1) 2016 წლის 29 ივნისს კომპანიას აღებული აქვს მოკლევადიანი სესხი ლარში სს თიბისი ბანკიდან საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში აღებული სესხის ძირის დარჩენილი ნაწილი შეადგენდა 400 ლარს.
- (ა-2) 2016 წლის 26 ივნისს კომპანიას აღებული აქვს მოკლევადიანი სესხი აშშ დოლარში სს თიბისი ბანკიდან საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აშშ დოლარში აღებული სესხის ძირის ექვივალენტი კონვერტირებული ეროვნულ ვალუტაში ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბრის კურსით შეადგენდა 3 759 ლარს.
- (ბ) 2017 წლის საანგარიშო პერიოდში ორივე სესხზე დარიცხული პროცენტი კომპანიას გადახდილი აქვს სრულად. ვრცლად აღნიშნული საკითხი იხილეთ შენიშვნა #9-ში.

17. ბიუჯეტში გადახდილი/გადასახდელი გადასახადები

	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ჩასათვლელი დღგ	546
გადასახდელი დღგ	(89)
გადასახდელი მოგების გადასახადი	(19)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(229)
გადასახდელი ქონების გადასახადი	(36)
სულ საგადასახადო აქტივი	173

18. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
ავია საწვავი JET A-1	4 821	-
ავია საწვავი TS-1	5 364	3 959
საწვავი შიდა მოხმარებისთვის	18	18
სხვა სასაქონლო მარაგები	5	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	10 208	3 977

19. პირობითი ვალდებულებები

19.1 საგადასახადო დაბეგვრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილი არიან შეამოწმონ წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან, თუმცა, საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენა ამ ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუ

13-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართალი, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.

ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განიხილავს იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება შესწავლილ იქნას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. როცა ამის რისკის დადგომის ალბათობა იქნება მაღალი, კომპანია შექმნის შესაბამის რეზერვებს.

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთ. მშენებლობა	ნაგებობები	მანქ.- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონება	სხვა არაფიქს. ძ/ს	სხვა ფიქს. ძ/ს	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის	153	0	250	316	87	33	2 137	293	63	1 098	4 430
მდგომარეობით											
შემოსვლა	0	166	23	16	32	1	0	78	0	793	1 109
გასვლა	0	166	0	0	0	0	192	0	0	1	359
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის	153	0	273	332	119	34	1 945	371	63	1 890	5 180
მდგომარეობით											
დაგროვილი ცვეთა											
2017 წლის 1 იანვარი			(50)	(211)	(53)	(14)	(679)	(25)	0	(146)	(1 178)
ცვეთის ხარჯი			19	32	10	2	121	68	13	61	326
გასვლა			0	0	0	0	192	0	0	0	192
31 დეკემბერი 2017	0	0	(69)	(243)	(63)	(16)	(608)	(93)	(13)	(207)	(1 312)
წმინდა საბალანსო ღირებულება											
2017 წლის 1 იანვარი	153	0	200	105	34	19	1 458	268	63	952	3 252
2017 წლის 31 დეკემბერი	153	0	204	89	56	18	1 337	278	50	1 683	3 868

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მენეჯმენტი

21.1 განხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები, მოიცავს სესხებსა და კრედიტებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი დანიშნულება კომპანიის ოპერაციების დაფინანსება და ოპერაციების გარანტირებაა.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ნაღდი ფული და მოკლევადიანი დეპოზიტები, რომელიც პირდაპირ ოპერაციებიდან შემოდის.

კომპანია დაუცველია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკის მიმართ. კომპანიის უფროსი მენეჯმენტი ზედამხედველობს ამ რისკების მართვის პროცესს.

21.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქტორი არ შეასრულებს საკუთარ ვალდებულებას ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგებს. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების უმეტესობა უზრუნველყოფილია წინასწარი გადახდის და უზრუნველყოფის (ე.წ. Security deposit) დეპოზიტის მეშვეობით. ზოგადად, კომპანია მაინც დაუცველია იმ საკრედიტო რისკების მიმართ, რომლებიც წარმოშობლია ფინანსური ქმედებებიდან: ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული დეპოზიტები, უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები.

21.3 ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ლიკვიდურობის რისკი მდგომარეობს იმაში რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მენეჯმენტი ზედამხედველობს ლიკვიდურობის რისკს, რისთვისაც დამატებით მოზიდულია საბანკო კრედიტები.

21.4 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო.

აღნიშნული რისკი შესაძლოა გაჩნდეს კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საპროცენტო და სასაქონლო ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირის დროს.

შპს ჯორჯიან პეტროლიუმი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

21.5 სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია განისაზღვროს იმ თანხის სავარაუდო ოდენობა, რომლისთვისაც ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა შეიძლება მოხდეს შემსწავლელ მხარეებს შორის. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები სავარაუდოდ ემთხვევა მათ საბალანსო ღირებულებებს, მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება განსაზღვრულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

22. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

22.1 ტრანზაქციები მენეჯმენტთან

მენეჯმენტსა და დამფუძნებლებზე გაცემულ ხელფასებს 2017 წელს ჰქონდა შემდეგი სტრუქტურა:

2017 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

დირექტორატისთვის გადახდილი ხელფასი
და სხვა სარგებელი

306

დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას სხვა ტრანზაქციები არ გააჩნია.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2018 წლის მარტში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 6 024 ლარის ოდენობით 2018 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი მოგებიდან.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების გარდა, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.